GIG ENERGY

ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია
Georgian Investment Group Energy

№72/22
16.11.2022 წ.

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია"-ს (ს/ნ 205256177) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდ. ხობისწყალზე „ხობი 2" ჰესის მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის №2-149 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

„ხობი 2" ჰესის დეტალური დიზაინის შემუშავების ეტაპზე დაკორექტირდა გამოსასვლელი პორტალის ადგილმდებარეობა და ჩამოიწია დაახლოებით 70 მ-ით ქვემოთ, ძალური კვანძის მიმართულებით. ამასთან მცირედით დაკორექტირდა სადაწნეო მილსადენის და ძალური კვანძის განთავსების ადგილები. აღსანიშნავია, დაკორექტირებული ძალური კვანძის, გამოსასვლელი პორტალის და სადაწნეო მილსადენის განთავსების ტერიტორიები წარმოადგენენ საქმიანობის განმახორციელებლის (შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია") საკუთრებას.

აღნიშნული ცვლილება ტექნიკური ხასიათის მატარებელია, რაც განაპირობა პროექტის დეტალურ დიზაინში დაზუსტებული ინფორმაციის ასახვამ

აღსანიშნავია, რომ ძალური კვანძის, სადაწნეო მილსადენის და გამოსასვლელი პორტალის განთავსების ტერიტორიების მცირედი დაკორექტირება არ ზრდის საპროექტო ჰესის მასშტაბებს, სამუშაოთა მოცულობას, ექსპლუატაციის პირობებს და არ ცვლის ნის სხვა ტექნიკურ პარამეტრებს.

იმის გათვალისწინებით, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის გახსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოგიდგენთ „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში დაგეგმილი „ხობი 2" ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის ანგარიშს".

პატივისცემით,
გალაქტიონ ბუაძე

დირექტორი

GIG ENERGY
205256177
ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია
Georgian Investment Group Energy

ს.ს.ი.ს. გარემოს ეროვნული სააგენტო
„18" 11 2022 წ.
№ 6631